ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-30251974**
თარიღი: **16/07/2025**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

„სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად განსახილველად და მოსაწონებლად წარმოგიდგენთ ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2025 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხას.

გთხოვთ, განიხილოთ და მოიწონოთ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მ/შ ალეკო კირვალიძე.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2025 წლის ----

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი ინფრასტურქტურული პროექტები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

2025 წელს რეგიონული განვითარების ფონდით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა

N	დასახელება	სავარაუდო ღირებულება	შენიშვნა
1	მაჩხვარეთის, ჩიბათის, ღრმაღელის, სუფსის და ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონების მშენებლობა	700000	
		700000	